

სახალხო გაზეთი

სუკრათეპიანი დამატება

გაზეთის № 225. კვირა, 6 თებერვალი 1911 წ. დამატების № 39

ნაიღ ჰარტლი

ლორდ ბაირონიხა.

იანტახ

არც იმ მხარეში, სადაც ერთხელ ვმოგზაურობდი, სადაც სიტურფე დღემდის მეფობს, სწორ უპოვარი, არც ჩვენებაში, რომლის შემდეგ სული ვალაღებს, რადგან იგია მომხიბლავი ტკბილი სიზმარი, — ვერფნახე არსი შესადარი შენს მშვენებასთან. ერთხელ გიხილე და არ ძალმიძს გულით არ გაძღვნა შენის მშვენების შესაფერი შესხმადა ქება.

ვინც კი ვერა გიცნობს, ჩემი სიტყვა რას აგრძნობინებს? ან რას მოეუთხრობ, ვინც მარად ეაძს შენ ერთსარგამიზერს?


ნეტა ყოველთვის იგივე იყო, რაც კი ეხლა ხარ; შენის ზაფხულის დაპირებას არ ჰლაღატობდე, ახალგაზრდობას არ აქნობდე, ბრწყინავედ მუდამ ტანად ლამაზი, სულით წმინდა, მოსიყვარულე — უფროთა ხატება ქვეყნიურის სიყვარულისა, რაც ძალგვიძს მხოლოდ ნაზ ოცნებით წარმოვიდგინოთ. ოჰ, ეხლა მჯერა, ვინცა გზრდიდა, გიღიერებდა, შენში ჰხედავდა გაბრწყინებულს კისარტყელასა, — შეუქს გამოკრთობილს, სიამაყეს შემდეგ წლებისას, რომლის წინ სწრაფად იფანტება სევდა-ნადველი!

ოჰ, დასაველეთის ნორჩო პერი! ბედნიერი ვარ!.. მე გარდავსულვარ, წლოვანებით ორჯელ მეტი ვარ. აწ შემოგცქერი მშვიდი გულით, უსიყვარულოდ, ბედნიერი ვარ, შენს დაცემას ვერ მოვესწრება და ვერც ვიხილავ, როს მზე შენი ჩაისვენება.

ბედნიერია გული ჩემი სხვისაზე მტად, ისინი შენთვის მომავალში სისხლსა დაძღვრიან, დამღუღრებულნი შავს ნადველით მუხლს მოგიყრიან, მე კი მაგ თვალებს გადაურჩი მწარედ დაკოდვას. საუკეთესო სიყვარულის და ტრფობის ჟამი აღსავსე არის მწარე გლოვით და მწუხარებით.

დე თვალთახედვამ, უცხომ, ურჩმა, ვით ქურციკისამ, ხან სიამაყით მოელღარემ, ხან კი მიმკრთალმა, გზაზედ მნახველის დამმარცხვენმა, თავბრუ დამსხმელმა ჩემსა ლექსებსაც გადმოჰხედოს ნაზი ღიმილით. უარს ნუ მეტყვი, სანეტაროვ და ნურცა მკითხავ, თუ რისთვის ვაჟღერ შენთვის ჩანგსა, მომხიბვლელ ხმიანს, ნება მომეცი ჩემს გვირგვინსა სამგლოვიაროს უცხო სოსანი ჩავაგრიხო ნაზი, ნარნარი.

შენი სახელი ჩემს ლექსებთან განუყრელია. ჯერ კიდევ დიდხანს, ვიდრე თვალნი ჩემ მეგობართა ჩაილდ ჰაროლდის სტრქონებსა გადიკითხავენ, —



ფ8. სეპასტიანე. — ქანდაკება ბესკეტისა.

პირველს ჰნახავენ, ღრმად ჩაქსოვილს, სახელს იანტას ჩემთვის ძვირფასსა, მარად უკვდავს და დაუფიწყარს. დაე, როს მოვკდე, დავიმარხო შავს სამარეში, შენი თითები, მომხიბვლელო, შეახე ჩანგსა, იმ ჩანგს, რომლიც შენს მშვენიერებას ასე ამკობდა, — აი, ეს არის მგოსნის თხოვნა უკანასკნელი!

ქ მ ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

მუსავ! ელადა ერთ ღროს ზეცის შვილად გსახავდა. შენ ხარ შექმნილი ნახ ოცნებით მგოსნებისაგან. ვინ იცის ქვეყნად რამდენ გზითა უმსგავსო შემსხმელთ შენი სახელი შეურაცხვეს და დაამცირეს, რასაც ამ ჟამად ჩემი ჩანგი სულ ვერ გაკადრებს და ვერც დაგირღვევს სანეტაროს, მყუდრო სიჩუმეს. ვიმოგზაურე შენს ნაკურთხსა წყლის კიდევებზე, ვნახე ნანგრევი დელფისა, იქ ყველა სდუმდა. დღეს ჩემი ჩანგი შენს მძინარ ღებს არ შეაშფოთებს, რომ არა-მწყობრთა ლექსით მოჰმადლონ ტკბილ ხმოვანება.

ნისლით მოზურულ აღბიონის ერთ-ერთ კუნძულზე ჰაბუკი ვინმე ეძლეოდა გიჟურ ცხოვრებას. ქეიფში, ლხინში ათენებდა მყუდრო ღამეებს მას სათნოება, სისპეტაკე არად მიაჩნდა; საქმის არ მცოდნე, შრომას, ჯაფას გადაჩვეული, ყველაფერს ჰგმობდა, ჟინს იკლავდა ვნებათ ღელვისას, კურო-საყვარლებს, ზნე დაცემულ ტოლ-ამხანაგებს თავს ევლებოდა, მათთან ერთად ღროს ატარებდა. ჩაიღო ჰაროლდსა უწოდებდნენ იმას სახელად. მამაპაპათა ვინაობას აქ ვერ მოგიტხრობთ; საკმარისია, ვსთქვა წინაპართ გვარიშვილობა განთქმული იყო და მათ სახელს ქებას ასხავდნენ, მაგრამ პატარა შავი დაღი დაასახიჩრებს და ჩირქსა მოსცხებს თვით ბრწყინვალე წარსულ დიდებას. არც ჰელარდიის ბრძენსა ძალუძს და არცა პროზას, არც პოეზიის ტკბილ სიცრუეს შესწევს ძალ-ღონე გასწმინდოს იგი და შეამკოს წმინდა გვირგვინით, ან უა სიწმინდელ მოაჩვენოს ბილწი მზაკვრობა.

ჩაიღო ჰაროლდი მზის სხივებით სტკებოდა იმ ღროს, როს ჯერედ იყო ახალგაზრდა, ძალღონით სავსე ვით ყველა მწერი, სიტკბოებას თავსა დაჰქროდა. ვიდრე მის ღღესა არ შესცვლიდა საღამოს ბინდი, ასე ეგონა ბედი მულამ იბრწყინვალეობა, ვერცა თუ რამე გასაქირში მას ჩაადგებდა, მაგრამ სულ აღრე, — არც კი იყო ოცდა ათისა, ოდეს სიცოცხლე მძლავრ ფრთასა ჰშლის და იფურჩქნება, — ჩაიღო ჰაროლდი მოსწყდა, იგრძნო მოწყენილობა ასუყდა გულით, სულმან მესმან დაჰკოვავა შვება, მოსძულდა თავის სამშობლოში ესრედ ცხოვრება; თავს ობლად ჰგრძნობდა — ვიდრე საღმე მწირ უღაბნოში და შეეზიზღა, თვის გარემოს რასაც ჰხედავდა.

შავის ცოდვების ლაბირინტი მან განვლო გრძელი, შფოთავდა, კვნესდა, მწარე სევდა გულღვიძლს უღრღნიდა, ბევრისთვის ტანჯულს მას, საბრალოს, ერთი უყვარდა და იგი ერთიც სხვისი იყო, სხვას ეკუთვნოდა. ქალმა დაიხსნა თავი თვისი იმ კაცისაგან, რომლის კოცნაც კი სიწმინდესა შეურაცხყოფდა. მის სიქალწულეს არ დასდებდა სულ მცირე პატივს. აღტყინებულსა ვნებათ ღელვას აისრულებდა, დიდსა სიმდიდრეს გაჰფლანგავდა სულ მოკლე ხანში, სიტკბოებას კი ოჯახისას ვერ აგემებდა.

ზიზღით აღვისილი გაურბოდა თვის ძველს მეგობრებს. ამბობენ: ცრემლი ხან მის თვალსა მოადგებოდა, მაგრამ შემშრალი, სიამაყით, არ იფრქვეოდა.

მულამ მარტოკა, უნუგეშოდ იარებოდა. ბოლოს კი გულში გარდასწყვიტა, გასცურდეს ზღვაზე, სულ შემსუთველი მიატოვოს სამშობლო მხარე და მოიაროს სულ სხვა კუთხის ცხელი ქვეყნები. იგი განცხრომით და სიამით მომეზრებული, თითქმის ეძებდა თვითვე ტანჯვას და მწუხარებას თავ-გასართობად და ადგილის გამოსაცვლელად მულამ მზად იყო ჩასულიყო თუნდ ჯოჯოხეთში.

გამოეთხოვა მამაპაპის ცხე დარბაზსა. ეს იყო მკვიდრად ანაგები ძველი შენობა, თუმცა კი ერთის შეხედვითა გეგონებოდა: თითქოს საკაა ჩამოწვება, ჩამოინგრევა, მაგრამ შენობა არ ჰკარგავდა თავის მშვენიერებას, ის აღუგია ძველ თაობას მკვიდრ ნიადაგზე; ტაძარი იყო იგი ერთ ღროს, შიგ ლოცულობდნენ, დღეს კი ქეიფით, საკვარლებით წაბილწულია. სადაც ცხოვრება უწინ მშვილად მიმდინარებდა, ასტარტის შვილნი დღეს შექცევით ღროს ატარებენ. ბერთა თუ მორჩილთ, ამის მნახველთ, ყველას შეეძლო, (თუ მათზე მხოლოდ მოგონილ კორს არ ავრცელებენ) ეფიქრათ თითქოს ძველი ღრონი დაჰპრუნებიათ.

ხშირად, როს ირგვლივ ეძლეოდნენ თავდავიწყებას, ჰაროლდი იჯდა მოწყენილი, დაღონებული. შეხმუქვილ შუბლით მწუხარება გაჰოსკვიოდა, თითქოს მის გულში იღვიძებდა წარსული ტანჯვა, ან და ჰქეჯნიდა სიყვარული გაცრუებული მის სულის თქმასა, ღელვას, შფოთვას ვერვინ ამჩნევდა, არც ეძებდა მეგობრებში ნუგეშის მცემელს. არავის ანდობდა საიდუმლოს გულში დამარხულს, თუნდ მისი სევდა ყოფილიყო ღრმა, ვით უბსკრული.

არვის უყვარდა, თუმც ყოველ მხრივ ბევრს ჰპატიებდა, თავისთან ერთად აღხენდა და აქეიფებდა. კარგად იცნობდა ლხინში შესულთ ამ გაიძვერათ ამ უგულოთა, მუქთა ხორათ სიხარულისას. თვით მიჯნურნიც კი მას ეტრფოდნენ როგორც ბედოვლათს. ძაღვულოვანის და სიმდიდრის მონაა ქალი. მსუბუქ ფრთიანი ეროც ხომ იქით მიფრინავს, სად ორივეა — სიმდიდრე და ძაღვულოვნობა. დედბაკები, ვითა მლილნი კეცხლს თავს დაჰქრიან და იქ ამარცხებს მათ მამონა მიმზიდველობით, სად სერაფიმი გულში იმედს წარაწყვეტავდა.

ოდეს სტოვებდა ნაცნობ ადგილთ, სამშობლო მხარეს, — არცა დისათვის და არც ძვირფას მშობელ ღედისთვის უკანასკნელად მას არ უთქვამს: „გტოვებთ, მშვიდობით!“ თუ ჰყვანდა საღმე მეგობარი, ან გულის სწორი, ისე დაჰშორდა ჟამსა მძიმეს — არვინ უნახავს. ნუ გეგონებათ: ყოფილიყო მთლად უგრძნობელი. ვისაც კი ვინმე ჰყვარებია, მან კარვად იცის, თუ რა ძნელია მახლობელთა გამოთხოვება. ნახვა ამ ჟამად არას არგებს წყლულსა გულისას, თუ უფრო მეტად არ ავნებს და არ გაამღავრებს.

და მიატოვა თვისი ქერი, სამკვიდრებელი, ტკბილ მოლიმარი ბანოვანნი, მოკისკასენი, რომლებთან ერთად ჟინს იკლავდა ვაჟკაცობისას. დასტოვა უქმად ძვირფას ღვინით სავსე ქიქები და გაემართა ზღვაზედ ნავით სამოგზაუროდ. მაჰმადიანთა წყლის კიდენი ჰსურდა ენახა და დაეარა შორეული ცხელი ქვეყნები.

აფრა აღმართეს. ოდნავ ქარმა ზღვიდან დაჰბერა და სიხარულით შეაცურა ტალღებში ნავი; სიამეს ჰგრძნობდა, რომ ჰაროლდი მოსწყვიტა მამულს.

მალე დაინთქნენ ცის სივრცეში სალი კლდეები. მთისა წვერვალნი ტალღის ქაფსა ამოეფარნენ. იქნება ამ დროს სევდიო: სავესე გამომტყდარიყო, რომ ძნელი იყო დატოვება სამშობლო მხრისა და უარ ეყო მას ამ ჟამად მოგზაურობა, მაგრამ მდუძარე სულმა იხსნა შენანებისგან, ისე რომ ზაგეს მწუხარება არ გამოუთქვამს, მაშინ, როდესაც სხვები იხდნენ, მწარედ გლოვობდნენ და გულის სევდას მსუბუქ ფრთიანს ნიავს ატანდნენ.

ოდეს ბრწყინვალე მზე ზღვის ტალღას ამოეფარა, ხელთ იპყრა ჩანგი—მწარე ფიქრის მესაიდუმლოე— სიმთ დაჰკრა ხელი და გაისმა ღამის წყვილიადში გამოთხოვების ნაღვლიანი, წყნარი სიმღერა:

„მშვიდობით ჩემო, ჰე ნაპირნო, მშობელ ქვეყნისავე, ამოეფარეთ აღელვებულს ზღვის ლურჯსა კიდეს! ჰქრიან ნიავნი, ნაღვლიანნი შუალამისას, ჰგრგვინვენ ტალღები, ზღვის ფირფატი ჰყივის, იძახის მზის კვალსა მივდევთ, ის დასავლეთს ამოეფარა. მზეო მშვიდობით! შენც მშვიდობით, სამშობლო მხარევე! მზე კვლავ ამოვა და სხვა დილას ვიხილავ თვალით. კვლავ სალამს მივცემ ცის ლაქვარდსა და ზღვას მქუხარეს. მამულს კი უნდა სამუდამოდ გამოვეთხოვო. დაე დაობლდეს სახლის კერა, დაცარიელდეს, ხავსმა მოიცვას აწ კედელი მიტოვებული, ძალმაც იღმეულოს გულსაკლავად ჩემს ეზო-კარსა! მომიახლოვდი, მოდი ჩემთან, პატარა პაეო! რაზედა ჰნაღვლობ? მითხარ, ბედსა რაზედ ემდური? იქნებ გაშინებს ქარიშხალი ანუ ზღვის დელვა? შეიშრე ცრემლი. არ გვიმტყუნებს ჩვენ მკვიდრი ნაფი, ვერცა აჯობებს სისწრაფითა მას შავარდენი.

— ვერ შემაშინებს მქუხარე ზღვის შავი ტალღები, ვერც ქარიშხალი გრგვინვა-ჰქეით და ღრიალითა. მაგრამ, ბატონო ჩაილდ, შენ ეს ნუ გაგაკვირვებს, რომ ცრემლებს ვაფრქვევ და გულით ვარ შეწუხებული. დავსტოვე ობლად საყვარელი ჩემი მშობლები, სხვა მეგობრები აღარა მყავს, მხოლოდ შენა ხარ და მალლა ღმერთი, შემომქმედი ცისა და ქვეყნის.


მამამ დამლოცა და მგზავრობას კი არ მიჩვედა, დედა ინაღვლებს სანამ მე შინ არ დაგბრუნდები.

— კმარა, კაბუკო, წმინდა არის შენი ცრემლები, და რომ ჩეც გული აწ შენსავით უმანკო მქონდეს, თვალეში ცრემლინი მდუღარენი არ დაშრებოდნენ. ჩემო მსახურო, კმარა, რაზედ გაჰფითრებულხარ? იქნებ გაშინებს ფრანგი მტერი, შენი მოსისხლე, ან იქნებ გაკრთობს ტალღა ზღვისა, აღელვებული?

— შენა გგონია ჩემს სიციცხლეს ვუფრთხილდებოდე? არა, მე ვნაღვლობ, რომ დავსტოვე ჩემი მეუღლე ჩემი ცოლშვილი შენს სასახლის ახლო ბინადრობს, ტბისა ნაპირზე, შენს მიდამოს გარს რომ არტყია. ოდეს შვილები დაუწყებენ მამას ძახილსა, რას ეტყვის დედა, აცრემლებულთ რა ჰასუნს გასცემს?

— კმარა მსახურო, შენი ცრემლი ქების ღირსია, მაგრამ ჩემს გულსა არა ჰხვდება უხასიათოს. ჩემსა სამშობლოს ვეთხოვები ტუჩზე ღიმილით.

ვინ მიენდობა ცბიერ სულთქმას დედაკაცისას? ან იმათ ცრემლში რასა ვხედავთ სანუგეშოსა? შავსა თვალთავან ცრემლს შეუშრობს სხვის სიყვარული, შენ არ დაგიცდის, ახალ სატრფოს მოუალერსებს. მე არ შევეუკრთი განვლილ ტანჯვას და მწუხარებას, არც გავურბივარ გაქირვებას მოახლოვებულს, ჩემი დარღია ობლობა და უთვისტომობა.



ვ რ ლ ზ ი ნ გ მ რ ი.

სოციალ-დემოკრ:ტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი, რომელიც წარსულს თვეში გარდაიცვალა.

აღარავინ მყავს, ვინ ვიგლოვო, ვინ დავიტირო? მარტო ვიყავი და მარტო ვარ მქუხარე ზღვაშიც, ვისზე ვინაღვლო, როს სხვა ჩემთვის არავინ ნაღვლობს? იქმნებ იღმეულოს ჩემმა ძალმა, ჩემზე იღარდოს, სანამ სხვა ვინმე არ გაღუგდებს პატარა ლუკმას, მაგრამ გაივლის მცირე ხანი, გადამივიწყებს, როს დაგბრუნოები, ჩემს ეზოში მევე დამგლეჯავს.

გაცურდი ნაფო! არ შეუდრკე, გააბე ტალღა, მას ნუ ინაღვლი, სად მიმიყვან, ან რომელ მხარეს, ოღონდ ჩემს მამულს დამაშორე, გზა აუქციე. სალამი თქვენდა, სალამს გიძღვნით ლურჯი ტალღებო! ოდეს, მენც ზღვაო, გაგშორდები, მიეფარები სხვა უდაბნოსა, სხვა მთა-ბორცვებს მივესალმები. შენ კი, მშვიდობით, სამუდამოდ, ჩემო სამშობლოვე!

ა. შანშიაშვილი.

შემდეგი იქნება



გრავის ასული

(ნოველა მანისა)

ნელა, ნელა და მძიმედ აბიჯებს გრავის პატარა ასული თავის აღმზდელ ქალთან ხელი-ხელ გაყრილი ქვიშინ ზღვის პირის ბილიკზედ. მკაფიოდ მოსჩანს ზღვის კიდურზედ ბავშვის ნაზი და სუსტად მოძრავი სილუეტი.

შუა დღის გავარდარებულ მზეზედ ოქროსავით ბრწყინალებს პატარა ქალის გაშლილი, სქელი და ხშირი თმა, რომელიც ძვირფას წამოსახნამივით წამოჭებულია ამის ჯერ გაუშლილ მხარ-ბექს. დიდი შავი თვალეები, როგორღაც უსიციო-ხლოდ გამოიყურებიან და თითქო არ ამჩნევენ მის გარშემო გამეფებულ მშვენიერ ბუნების სურათებს.

ქალი ყურს უგდებს თავის აღმზდელს, ფრანგის ქალის შეუწყვეტელ ჰიკიკის, უხალისოდ, გაუტაცებლივ. ქალის თვალეები ასევე უხალისოდ უყურებენ ზღვის პირას მოფუს-

ფუსე მეთევზეებს. ესენი სუყველანი მოხუცებულნი, წელში მოხრილნი, დანაკლებულ პირისახით, კონკებში გახვეულნი, დატაკნი არიან; ცოტა მოშორებით სხედან ამათი ცოლები, დავრომილნი, დალონებულნი სახეები კლავებზედ აქვთ დაყრდომილი და საცა-ლა უაზროდ გაიყურებიან. პატარა გრაფინას წინათაც ბევრჯელ შეუნიშნავს ეს ადამიანები და ახლაც სრულიად დაუდევრად გაიარა ამ ორ ჯგუფს შუა და დიდად გაუკვირდა, როცა იმათგან ეს სიტყვები გაიგონა:

— ღმერთო, აღდევრძელე ჩვენი ბატონის პატარა ასული.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ პატარა შესდგა და თავის აღმზღელს გაკვირვებით შეეკითხა:

— განა ეგენიც ადამიანები არიან?

— რასა ბძანებთ, გრაფის ასულო! რასაკვირველია ადამიანები არიან! — უპასუხა გუვერნატკამ და თან მხიარულად გადიკისკისა.

ზღვის პირას შესამჩნევად აგრილდა. შუადღის ქარმა დაუბერა; დრო იყო შინ დაბრუნებისა. როდესაც ქალები ზღვის ქვიშიან ნაპირს გასცდნენ და ტყეში შევიდნენ, პატარა ქალი თითქო მოლონიერდა, წელში გაიმართა და შეაფიქრდა და გაბედვით დაუწყო გუვერნატკას ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ გაატარებდნენ დანარჩენ დღეს, თუ დედა პატარა გრაფინასი წუხანდელ ღამეს მოსვენებით გაატარებდა. ოხ! დიდი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პატარა ქალის სიცოცხლეში იმ გარემოებას, თუ დედა ღამეს როგორ გაატარებდა!..

ხეებსა და ხეებ შუა გამოჩნდა სასახლეც, არა მაღალი, მაგრამ დიდი, ფართე, დიდებულად მზირალი, უშველებელ ხეხილით გარშემორტყმული. დიდი ხანია, ძრიელ დიდხანი რაც ეს ამჟამად მდგომი სასახლე ასე გარინდებული და ფანჯრებ დახურული სდგას ამ ტყის სივრცეში. მის შემდეგ, რაც მამა გადაიკვალა ამის დაბადების რამდენიმე დღის შემდეგ. რითი მოკვდა მამა, პატარა გრაფინამ არ იცის, კარგად არც სხვა ვინმე იცის ეს გარემოება, დედამაც კი; მხოლოდ მას შემდეგ დედამ კარი ჩაიკეტა ამ ციხე-სასახლეში და გარედ ფეხს არღარსად სდგამს. გარშემო ჩამოიკიდა მამას სურათები და სხვის ნახვა ვისიმე აღარ მოისურვა. სასახლის ყოველ ოთახში მოღბერტზედ დაყუდებულია სურათი გრაფისა, მოღბერტთან ხალიჩაა გაშლილი და ზედ პატარა სკამი სდგას, თითქო იმისთვის რომ ზედ მჯდომი, სურათზედ ლოცულობდეს.

საწყალი დედა შხირად ავადმყოფობს, დაბალი ამის გამო ნოკლებულია დედის ნახვას. როცა კი უკედ არის დედა, ქალი მიჰყავთ იმასთან და მაშინ დედა ისეთის გატაცებით, ისეთის მხურვალეებით იკრავს ვულში თავის გოგონას და გაჰყვირის: „ჩემო ელენე, ჩემო ელენე!“ — თითქო რომ ართმევდეს ვინმე ამ თავის ერთად ერთს ნუგეშ. შემდეგ დედა ისევ გადაესვენება ხოლმე ტახტზედ, გაისწორებს თავისი შავი კაბის კალთებს, კვლავ მოხვევს ხელებს თავის ძვირფას და გატაცებით იკრავს გვერდზედ. დიდხანს, დიდხანს სხედან ესე დედა და შვილი, გვერდი-გვერდ მიკრული და შეჰყურებენ იმათ პირდაპირ ჩამოკიდებულ პირმკრთალ, მთელი კაცის სიმაღლეს სურათს, რომლის სიკვდილის შემდეგ გაჰქრა იმათი ჩამომავლობის შტო. დედაც მამის გვარეულობის ქალი იყო, შვილაც მარტო ელენე გაუჩნდათ და ამითი შესწყდა ის უკანასკნელი აკორდი ძველის ძველის სიმღერისა, რომელსაც ამის მამა წარმოადგენდა.

ჩორჩულით, ხან წყნარით და ხან ატაცებულით, ხან ნაღვლიანით და ხან დამზინილად — გრაფის ცოლი მოუთხრობს თავის ქალს თავისის ქამის ცხოვრებას — იმაზედ თუ როგორ იყო ხოლმე გაბრწყინვალეებული ეს სრა — სასახლე ჩირადდენე-

ბით ზაუხულობით, რაოდენი სტუმართ გუნდი დასეგრძობდა ამით ბაღებში, დროს ატარებდა, ქეიფობდა. როგორ დასცურავდა ნავით თავის საყვარელ მეუღლესთან მთვარიან ღამეებში ზღვის ნაპირებზედ, ტბებზედ... როგორი ბრწყინვალე დღესასწაულები იყო ხოლმე გაჩაღებული ამათ ბრწყინვალე სასახლეში ზამთრობით ფლორენციაში, როგორი შეუყურებელი ხმაურობა და ჟრიამული იყო ხოლმე ეტლებისა ამათ კარ-მიდამოზედ...

ნახევრად ჩამოზნელებულ ოთახში დედის ალერსით, დედის მკერდზედ მიყრდომილ პატარა გოგონას, თილისმებურს ზღაპრებივი მოესმოდა დედის საუბარი წარსულზედ და გულში რალაც გამოურკვეველი მწუხარება აღეძვრის, რომ თითონ ეს კი ვერ ნახავს, ვერ იგრძნობს, ვერ იქონიებს იმ თილისმებურ სიმშვენიერეს და ფუფუნებას.

ასე სცხოვრებენ დედა-შვილი, ყოველთვის მოგონებით, წარსულის ბრწყინვალეებით, მოწყვეტილნი აწმყოს და სიცოცხლით სავსე ცხოვრებას. ჯერ ყმაწვილი, მაგრამ გულდასერილი დედა და ათასის სურვილებით და კითხვებით აღსავსე შვილი.


გადიოდა წელიწადი წელიწადზედ. პატარა ქალი მოიზარდა და დედის მწუხარებაც ათიათასდებოდა შვილის მუდამ ჩაფიქრებულ, მოწყენილ და უდროოდ ნერვებ აშლილ გამომეტყველებაზედ.

ერთ კვირა დღეს, გაზაფხულის დილას, პატარა გრაფის ქალი მარტოდ მარტო ჩამოვიდა სახლის კიბეს და ზღვის ბილიკისაკენ გაემართა — ახლა ეს დიდი ქალია, ამ ორ სამ დღეში თხუთმეტისა შეიქნება. ბრწყინვალე, მოძრავ აჩრდილად იხატება ძველ სასახლის კედლებზედ ამისი სუსტი, წერწეტი, გამსჭვირვალე სხეული, მშვენიერის მოყვანილობის ხელ-ფეხით და შხირის, ოქროს ფერის ნაწნავებით პატარა თავზედ.

გამოუთქმელის, ჰაეროვანის სიმშვენიერით და გრაციით, რალაც პოეზიის სიდიადით არიან სავსენი ამის ვიწრო, ბავშური თეძოები, გულ მკერდი, პირისახის მოყვანილობა, პატარა მგრძობიარე ტუჩები, მორგვადიებული ნიკაპი, შავი დიდრონი, მშვენიერი თვალები, რომელნიც ისევ ისე მოკლებულნი არიან ცხოვრების სურვილების გამოხატულებას. არა აქვთ ამ მშვენიერ თვალებს სიცოცხლის ციალი იმედების განხორციელების სურვილი, სურვილებს ასრულებისა, ხანდისხან, მხოლოდ ხანდისხან, იმათ სიღრმეში გაიფლავებენ ხოლმე რალაც კითხვების ნაპერწკალი, რალაც ძიების სურვილი — და წამზედვე ჰქრებიან.

ექ. გაბაშვილისა.

(დასასრული იქნება)



ქ. სიღნაღის ქუჩები.